ოქმი:**ო37. 37232974**
თარიღი:**24/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გოჩა მდინარაძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი

2023 წელი, 18 ოქტომბერი
სოფ. შრომა
17:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები,მერის წარმომადგენლები

სოფ. შრომასა და დ/ურეკში. საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. დ. დარჩიამ აღნიშნა,რომ გოჩა მდინარაძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი. იგი არის ფრაქცია“ ქართული- ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე.თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან,ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა გოჩა მდინარაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.ისაუბრა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სოციალურ პროგრამებზე, ონკოლოგიურად დავადებულ პაციენტთა დახმარება, სოციალურად დაუცველების დასაქმება.გოჩა მდინარაძემ აღნიშნა, რომ მის მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო:“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში,“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი ,“2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღები წესი“.მის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხებიდან აღსანიშნავია დ/ურეკში ქუჩების სახელდება(10 ქუჩა), სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მინისტადიონის მოწყობა. სოციალური საკითხების გადაჭრა, სტიქიით დაზიანებულთა დახმარება,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობა, შუამდგომლობა მერიის შესაბამის სამსახურებთან წინადადებები, რეკომენდაციები, დასკვნები. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. საკრებულოს წევრის გოჩა მდინარაძის საქმიანობა შეფასებულია დადებითად და უსურვეს მას წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დავით დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე